ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ № 01-24/1

ქ. თბილისი „26“ „იანვარი“ 2012 წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.2.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში – „შემსყიდველი“) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.2.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.2.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი **მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი** სახით (შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორე მხრივ, **შპს „იბერია ავტო ლენდი“, დირექტორის ლევან გაბუნიას** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება დაფინანსების ფარგლებში დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე რიცხული MITSUBISHI L 200-ის მოდელის ერთი ერთეული ავტომობილისთვის (სახელმწიფო ნომრებით FCF-443, საიდენტიფიკაციო კოდი MMBJNKB40BD035637) სათადარიგო ნაწილების შესყიდვა თანმდევი ტექნიკური მომსახურებით (CPV34900000).
3.2 საქონლის სპეციფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **5000.00 (ხუთიათასი)** ლარს.
4.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 საქონელი თანმდევი მომსახურებით მიწოდებულ უნდა იქნეს შემსყიდველისთვის მოთხოვნის შესაბამისად, დანართი №1-ით განსაზღვრული სავარაუდოდ საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და ტექნიკური მომსახურების ჩამონათვალში მითითებული ერთეულის ფასების მიხედვით **2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების - მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.
7.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 7.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ **20 (ოცი)** კალენდარული დღის ვადაში.
7.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.
7.5 მიწოდებულ საქონელსა და გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში შესაძლებელია დაფიქსირდეს საქონლის და/ან მომსახურების ფასი, რომელიც ნაკლებია ხელშეკრულების **დანართი №1-ით** განსაზღვრულ ერთეულის ფასებზე.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
8.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**
9.1.1 დადგენილ ვადაში 5.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.
9.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
9.2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**
9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **20 (ოცი)** კალენდარული დღის განმავლობაში.
9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
14.2 საქონლის მოწოდების ან/და გასაწევი მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოუწოდებელი საქონლის ან/და გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ხელშეკრულების კონტროლი

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი გ. გურგენიძე.
16.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.
16.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
16.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
16.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) საქონლის მოწოდებით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან“.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის, №52

სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა 200122900;
ს/კ 202051224

მინისტრის მოადგილე

გიორგი ჩახნაშვილი

_____

„მიმწოდებელი“

შპს „იბერია ავტო ლენდი“
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი
ნაკვეთი 034/107
ბანკი: ს/ს „საქართველოს ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE59BG0000000182943300
ს/ნომერი: 236095177

დირექტორი

ლევან გაბუნია

_____

დანართი N1

გასაწევი მომსახურების და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი

N	საქონლის/მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდეობობა	ერთეულის ფასი (ლარებში)
1	ძრავის ზეთი 5w40	ლიტრი	1	30
2	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	1	40
3	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა	ცალი	1	15
4	სავალი ნაწილის შეპოხვა	ერთჯერადი	1	20
5	მექანიკურ გადაცემათა კოლოფის ზეთი	ლიტრი	1	18
6	მექანიკურ გადაცემათა კოლოფის ზეთის შეცვლა	ერთჯერადი	1	20
7	უკანა ხიდის ზეთი HD80-90	ლიტრი	1	18
8	უკანა ხიდის ზეთის შეცვლა	ერთჯერადი	1	20
9	ჰაერის ფილტრი	ცალი	1	75
10	ჰაერის ფილტრის შეცვლა	ერთჯერადი	1	0
11	საწვავის ფილტრი	ცალი	1	50
12	საწვავის ფილტრის შეცვლა	ერთჯერადი	1	25
13	წინა სამუხრუჭო ხუნდები	წყვილი	1	200
14	წინა სამუხრუჭო ხუნდების შეცვლა	ერთჯერადი	1	25
15	უკანა სამუხრუჭო ხუნდები	წყვილი	1	160
16	უკანა სამუხრუჭო ხუნდები შეცვლა	ერთჯერადი	1	50
17	ხალიჩები	ცალი	1	70
18	გამანაწილებელი კოლოფის ზეთი	ლიტრი	1	18
19	გამანაწილებელ კოლოფში ზეთის შეცვლა	ერთჯერადი	1	20
20	წინა ხიდის ზეთი HD80-90	ლიტრი	1	18
21	წინა ხიდის ზეთის შეცვლა	ერთჯერადი	1	20
22	გაბარიტის ნათურა	ცალი	1	5

23	გაბარიტის ნათურის შეცვლა	ცალი	1	5
24	წინა ფარის ნათურა H4	ცალი	1	20
25	წინა ფარის ნათურის H4 შეცვლა	ცალი	1	5
26	ელექტრო დიაგნოსტიკა	ერთჯერადი	1	30
27	საწვავი სისტემის რეგულირება	ერთჯერადი	1	90

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მინისტრის მოადგილე

გიორგი ჩახნაშვილი

შპს „იბერია ავტო ლენდი“

დირექტორი

ლევან გაბუნია